


# მეფეებს

ახლანდელი დროის  
დაურჩება ერთი  
წლის შენახვა,  
ღარი...



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმა კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
შაოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ კათა შინა, ერთსათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 4

1883—1902

15—30 თებერვალი.

## ა ღ რ ე ს ი,

წკაითხუდა ქუთაისის გუბერნიას თავად-ახნაურთა წინამძღოლისკან მასის უდიდებულებას წინაშე ზანსაკეგს, თებერვლის 8-ს, სასამართო სსსსხლეშო.

თქვენო იმპერატორებითა უდიდებულესობავე, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო!

სადღესასწაულო დღე საქართველოს შეერთების რუსეთის იმპერიისა თანა კეთილინებეთ და აღნიშნეთ მით, რომ, სხვა წყალობათა შორის საქართველოს ერისადმი, უბოძეთ საქართველოს თავად-ახნაურობას შემწეობა მის მოზარდ თაობის აღსაზრდელად. ეს მრავალ-მნიშვნელოვანი გარემოება სიხარულითა და მერმისის მიმართ დიდის იმედით მიიღო ქუთაისის თავად-ახნაურობამ და მიიჩნია იგი, ვითა ძვირფასი ნიშანი თქვენის უდი-

დებულესობის მაღალის ყურადღებისა საქართველოს ერის სულიერ საქართველობათათვის და ვითა ფას-დაუღებელი დამტკიცება ერთგულებისა ერთ-ერთის თქვენის დიდებულის წინაპრის, ხსენება-დაუფიქრებელი იმპერატორ ალექსანდრე კურთხეულის ანდერძისადმი. ასის წლის წინად მრავალ ტანჯული საქართველო, მისუსტებული გამუდმებულის ბრძოლით მოსლემინობის წინააღმდეგ, ნება-ყოფლობით შეუერთდა ძლიერს, ერთ-მორწმუნე რუსეთის იმპერიას დასაცველად თვისის ეროვნებისა, რომელსაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იცავდა მახვილით ხელში ქრისტიანობის მტერთაგან; დასაცველად დედა ენისა, რომელზედაც ჯერ ისევ მეოთხე საუკუნეში ისმენდა იგი წმიდა სახარებას და ქრისტიანობის ქადაგებას, და დასაცველად ხელ-შეუხებლის საწმიდით მართლ-მადიდებლობისა, რომელიც იყო ზნეობრივი ძლიერება საქართველოს ერისა.

„გიყვარდეთ მტერნი“

მწვევართა თქვენიწყარმა იმპერატორმა ალექსანდრე ძულეთა თჳს მისმინა ერთობილი სურვილი ერისა დან საქართველოს მეფეთა და კისრად ილო ტვირთი საქართველოს სამეფოთა გამგებლობისა არა წარსამატებლად ძალთა თვისთა, არა ანგაარებისათვის, არა განსავრცლებლად უიშისოდაც ფრიად ვრცელის იმპერიისა, არამედ მარტო-ოდენ საქართველოს ერის კეთილ-დღეობისათვის\*.

მას შემდეგ საქართველო, ჰერძნობს-რა თავსა თვისსა რუსეთის იმპერიის ძლიერს მფარველობასა ქვეშე, მიეცა მშვიდობიანსა შრომასა, დაადგა სულიერისა და ნივთიერის წარმატების გზას და თან-და-თან ითვისებს რუსეთის მოქალაქობრივს განვითარებას.

თავდა-აზნაურობა ქუთაისის გუბერნიისა გამსჭვალულია უღრმესის მადლობით, რომ წმიდა ისტორიული სამკვიდრებელი, გადაცემული ქართველთა მეფეთაგან რუსეთის დიდებულ გვირგვინოსანთა ხელში, წმიდად არის დაცული; ამიტომ იმაზედ მეტად აღარას არის მოწადინებული, რომ სრულიად და სავსებით გაუერთიანდეს მისი სამშობლო დიდებულის რუსეთის დანარჩენ ნაწილთა და ჰქონდეს იმასაც იგივე კანონები და დაწესებულებანი.

ქუთაისის გუბერნიის თავდა-აზნაურობა მუდამ მზად არის იკისროს ტვირთი საზოგადო სამოქალაქო მოვალეობათა და უფრო დიდ ბედნიერებად მიიჩნევს იმ დღეს, როცა თქვენი უდიდებულესობა ინებებს და სრულის გაერთიანების აზრით, ღირსად ჩასთვლის მის ქვეყანას ყველა იმ დიდის სიკეთისა, რომელიც მინიჭებული აქვს რუსეთის შიდა გუბერნიებს.

მოსწონს-რა თავი თქვენის მაღალიის ყურადღებით, ხელმწიფეთა, დასაწყისითვე სამეფო ტახტის ერთგულს ქუთაისის გუბერნიის თავდა-აზნაურობას, თაკი თვისი ბედნიერად მიაჩნია, რომ ჰყენს ტახტისა თქვენისა წინაშე უცვალაველს, ერთგულ ქვეშევრდომობის გრძნობას და უქვეშევრდომილესს ღრმა მადლობას მისდა მინიჭებულ მოწყალებათათვის („Прав. Вѣст.“).

იმავეთის მაარქიის საძვლველოების დეპუტატთა კრებაჲ. ქუთაისში 1—5 დეკემბერს 1901 წ.

გავრძელება \*)

1900 წელში ერთ სხდომაზე იმერეთის სამღვდლოების დეპუტატების კრებამ გარდასწყვიტა: შეადგინონ ახალი სიები მრევლთა კომლების რიცხვისა. 1890 წელში იყო შედგენილი მრევლთა სიები და იმ დროიდან წარსულ წლამდე აღარ შედგენილა ახალი სიები. ყოველ სამრევლოდან თითო კომლის თავზე უნდა შემოსულიყო ხუთი შაური. ახალი სიები უნდა შედგენილიყო 1901 წლის აღსარებითი სიებისამებრ. შესდგა ყველა ბლაღოჩინებთაგან სიები და წარდგინდა ქუთაისის სისულიერო სასწავლებლის სამმართველოში. ამ ახალი სიებით თითქმის ორი ათასი მანეთი მეტი შესავალი აღმოუჩნდა სასწავლებელს წინანდელ შესავალზე. 1901 წლამდე ლეჩხუმის მაზრის სამღვდლოების გარდა, იმერეთის ეპარქიის სამღვდლოებიდან ცამეტი ათას მანეთზე მეტი შემოდიოდა სასწავლებელს. ამ ბოლო დროს ლეჩხუმის და სვანეთის სამღვდლოების შემოსავალიც მოემატა და ამ ორი ათასი მანეთით, რომელიც ახალი კომლის სიების შედგენით მოემატა—სულ თვრამეტი ათას მანეთამდე შესდგა, სამღვდლოების ყოველი წლიური სასწავლებლის შემოსავალი. ექვსი ათასი მანეთი იმერეთის ეპარქიის საეკლესიო ხაზინის იხარჯება ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლის შესანახავად. ამნაირად ამ ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენახვა ოცდა-ოთხი ათასი მანეთი მეტი ჯდება.

ახლად შედგენილი კომლის სიების სინამდვილეზე მეტი აღლო სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. როჟდესტვენსკიმ და კრებს მისცა წინადადება განცხილათ ეს სიები და შეემოწმებინათ მათი სინამდვილე. კრებამ განიხილა ეს სიები და დარწმუნდა, რომ ზოგიერთი მრევლის სიები—განსაკუთრებით ქალაქ ქუთაისის ძლიერ დამცირებულია. ამისათვის დაადგინა: ხელახლა შესადგეს მრევლის სიები ბლაღოჩინებისაგან ერთად სამღვდლოების დეპუტატე-

\*) იხ. „მწვემს“ № 3. 1902 წ.



ბის და მამასახლისების თანადასწრებით. არ გვეჯერა, რომ ცოტადანდა არ მოიმატოს მრევლის კომლის რიცხვა და მაშინ მეტი შემოსავალიც აღმოჩნდება.

დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე სასწავლებლის სამმართველოს ერთმა წინადადებამ. ეს წინადადება შეეხებოდა სასწავლებელში კაპიტალურ რემონტის მოხდენას, სასწავლებლის ახალი ეკსკლუსიის და მოსამზადებელი კლასებისთვის ოთახების აგებას. ამ წინადადებით სამღვდლოებისაგან ოთხოცებოდა ოთხმოცი ათასი მანეთი. სასწავლებლის სამმართველო წინადადებაში ურჩევდა სამღვდლოების კრებას, რომ ამდენი ფულების დახარჯვის მაგიერ სასწავლებელი გაეყოთ, რადგან შეგირდების რიცხვი მაშინ ნახევრობით მოიკლებდა და ამის გამო აღარც მოსამზადებელი კლასების ოთახების გაყევა იქნებოდა საჭირო და დღევანდელ არსებულ ეკსკლუსიასაც აღვიღად მოათესდებოდა შეგირდები...

სამღვდლოების კრებამ მიანლო კომისიის დაეთვალიერებია სასწავლებლის ყველა ოთახები და საავადმყოფოს სახლი. კომისიამ დაათვალიერა ყველა ოთახები და თავის აზრი მოახსენა კრებას. კრებამ დაინახა შესაძლოა, რომ სასწავლებლის ზედამხედველი და მისი თანაშემწე დაბინაოს ორ-სართულიან შენობაში იქვე სასწავლებლის გვერდითვე, სადაც დღეს საავადმყოფო არის მოთავსებული. იმ ოთახებში კი, რომლებშიც დღეს სასწავლებლის ზედამხედველი და მისი თანაშემწეა დაბინავებული, მოსამზადებელი კლასები გადაიტანოს და საავადმყოფოსთვის დაიქირაოს სახლი ერთად, როგორც სასულიერო სასწავლებლის, ისე სემინარიულებისთვისაც. დღეს სემინარიას არა აქვს საავადმყოფო და ავადმყოფი შეგირდების ექიმობა გაძნელებულია. ექიმები კი ცალ-ცალკეა დანიშნული და ორივეს ჯამაგირი ცოტა არ არის. ჩვენის აზრით, სამღვდლოება ბევრად მოგებული იქნება, რომ ერთი საავადმყოფო იქონიოს როგორც სასწავლებლისა, ისე სემინარიის მოწოდებასთვის. ცალ-ცალკე საავადმყოფოს შენახვა კი ერთი ორად დაუჯდება.

სამღვდლოების კრებამ ბევრნაირად იქონია მსჯელობა სასწავლებლის გაყოფის შესახებ, მაგრამ ყველა დებუტატები ვერ შეთანხმდნენ ერთად. თუ გვიხსნა სასწავლებელი სხვა რომელიმე მაზრაში, მაშინ იმ მაზრის სამღვდლოებას ავადლებენ მთელი

სასწავლებლის შენახვას და ეხლანდელი დროის მოთხოვნებით ძლიერ სამძიმოდ დაურჩება ერთი მაზრის სამღვდლოებას სასწავლებლის შენახვა, მით უფრო, რომ ქუთაისის სასწავლებელი არ მოიკლებს იმ 6000 მანეთს, რომელსაც იგი ხაზინიდან იღებს ყოველ წლობით. დიდი ხარჯი მიდის მასწავლებლების შენახვაზე, წინეთ სემინარიელები იყვენენ მასწავლებლებად და მცირე ჯამაგირით ჩინებულად მიდიოდა სწავლის საქმე. დღეს უთუოდ აკადემიელი უნდა იყოს მასწავლებლოდა. არაიან არ კითხულობს შეუძლიათ თუ არა მასწავლებლობა, აქვს ხალისი თუ არა მასწავლებლობისა. ზოგიერთი აკადემიელები დღეს ათას-ორას მანეთს იღებენ ჯამაგირს და გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მის მეტს არას აკეთებენ, რასაც სემინარიელი მასწავლებლები აკეთებდნენ. დააკვირდით კარგად, გამოსცადეთ ეხლანდელი ოთხ-კლასიანი შეგირდები სწავლაში, თუ ნამდვილად არ დარწმუნდეთ, რომ გადამეტებულს ჩვენ არას მოგახსენებთ.

კრების თავსმჯდომარემ მოითხოვა საჭირო ცნობები სასწავლებლის ზედამხედველისაგან შეგირდების რიცხვზე და აღმოჩნდა შემდეგი: დღეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობს 550 მოწაფე. მოსამზადებელ კლასებში არის 300 ბავშვი და ოთხ ნორმალურ კლასებში და მათ განყოფილებაში არიან 250 მოწაფენი. ამთში მღვდლის შვილი-შვილები ყოფილა 60 მოსწავლე, რომელთაც ფულს სთხოვენ სწავლის უფლებისათვის ისე, როგორც საერო წოდების შვილია. ამთ არ შეუძლიათ ფულის გარდახდა და სთხოვენ სამღვდლოების კრებას ამ გარდასახადისაგან განთავისუფლება. ეს 60 მოსწავლენიც რომ გამოვიტოვებთ, გვრჩება 190 შეგირდი. თითოეულ ნორმალურ კლასში რომ ვიანგარიშოთ 40 მოწაფე, ოთხ კლასში მოათესდება 160 მოსწავლე და ჩვენ გვრჩება პარალელური კლასებისათვის მარტო 30. იი ამ 30 შეგირდის სწავლება უჯდება სამღვდლოებას არა ნაკლებ ექვსი ათასი მანეთისა. ექვსი ათას მანეთად სამღვდლოება მთელს სასწავლებელს შეინახავს, —სხვა ტიპისას, რასაკვირველია, და არა ოთხ-კლასიანს სასულიერო სასწავლებლისას. გარწმუნებთ, რომ უფრო სასარგებლოა სხვა ტიპის სასწავლებელი, ვინაიდან სამღვდლოებას დიდი ფული ეხარჯება თავიანთ შვილების

აღზრდისათვის და სწავლის საქმეც გაპირვებით მილოლაეს. მაგალითად აიღეთ ერის კაცი და მღვდელი. პირველი აძლევს ბავშვს გიმნაზიაში ან რეალურ სასწავლებელში, ხოლო მეორე სასულიერო სასწავლებელში. (იქონიეთ სახეში, რომ ორივე ერთნაირად არიან მომზადებული მოსამზადებელი კლასისთვის). იწყებენ სწავლას. წარმოვიდგინოთ, რომ ორივე ბავშვი ისეთი ნიჭიერები არიან, რომ ყოველ წელს გადადიან შემდეგ კლასებში. მღვდლის შვილი მოუწდება შვიდი წელიწადი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გათავებას და ერის კაცის შვილი კი შვიდ კლასს ათავებს ამ ხნის განმავლობაში. მღვდლის შვილმა რომ დიდის ქაპანწყვეტი გაათავა სემინარია, ერის კაცის შვილი უკვე ერთი წლით აღრე ათავებს უნივერსიტეტს და სამსახურში შესული ჯამაგირსაც იღებს; სემინარიელი კი ეპარქიის კანცელარიას უტრიალებს გარშემო, იქნება როგორიმე გზით მღვდლობის ადგილი იშოვოს სადმე მიყრუებულ სოფელში! აკადემიაში წასვლა ხომ—ეს ისეთი საქმეა, რომ ათასში ერთს იქნება არგუნოს ბედმა და ღირსი გახდეს სწავლის გაგრძელებისა... სამღვდლოების კრებამ მიიღო რა სახეში ყველა ეს უნუგეშო მდგომარეობა თავისი მდგომარეობისა გარდასწყვიტა: ეთხოვოს მთავრობას, რომ მღვდლის შვილი-შვილები იქმნენ მიღებულნი სასულიერო სასწავლებელში, სასწავლო ფულების გადაუხდებოდეს; თუ ეს თხოვნა არ იქნება შეწყწინარებული, იმ შემთხვევაში სამღვდლოება 30 შეგირდისათვის არ ისურვებს პარალელური კლასების დატოვებას და დახურავს კიდევ მათ სრულებით. ვიდრემდის ეს კითხვა გათავდებოდეს; მანობამდისინ მოსამზადებელი კლასების და ახალი ეკლესიის აშენება შეჩერდეს. აი ასეთი იყო დადგენილება სამღვდლოების კრებისა და ეს დადგენილება იყო დამყარებული ზემოხსენებულ მოთქრებათა ზედა და არა ისე, როგორც «ივერიის» კორესპონდენტი მოუთხოვრბდა მკითხველებს. ბ. ა. გ. სამღვდლოების ინტერესებს კი არ უყურებს, ის

იმას ფიქრობს, პარალელური კლასების დახურობა ადგილი არ დაეკარგოს. ჩვენ კარგად გეხსოვს, როცა ადგილი არ იყო, იგი თანახმა გახდა სემინარიელის ჯამაგირზე მსახურებისა. და, როცა ადგილი იშოვა, მერე კი აკადემიელებისთვის გადაყვტილი ჯამაგირი მოითხოვა. ზოგიერთები ჯამაგირი მომატებას უყურებენ და მახედ ფიქრობენ, თორემ იმის გამოკვლევაში არ შედიან: რისგან არის ის, რომ მოსამზადებელ კლასებში შედიან ასობით მოსწავლენი და ოთხ კლასს ათავებენ 25 და 35? რისგან არის ის, რომ ოცდაათ შეგირდს წარადგენს წარჩინებულად მომზადებულთ სემინარიაში შესასვლელად და ხშირად ნახევრობით და შესამცობით უკან უბრუნებენ უკოდინარობისა და მოუშმადებლობის გამო?..

მოსამზადებელი კლასები და ისიც პარალელური განყოფილებებით ჩვენ ნამეტნავად მიგვანჩნია. ძველი დროის შედარებით, დღეს სოფლებში ბევრი სკოლებია. ნუ თუ ამ სკოლებში ბავშვები ვერ უნდა მოამზადონ სასწავლებლის პირველი კლასისათვის! სამი წელიწადი პატარა, თოთო ბავშვის ჩაჯდება ქუთაისში და ისიც ისე უპატრონოდ, როგორც ეს ჩვეულებად აქვსთ ხოლმე ზოგიერთებს—საცოდაობა არის. დღეს სამღვდლოება მოსამზადებელი კლასების აღწენებაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ მის დახურვაზე და ნაცვლად ამისა ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნაზე. ამასთან, ჩვენის აზრით, არც ის იქნება ურიგო, რომ სამღვდლოებამ სთხოვოს უმაღლეს მართებლობას, სილარბისა გამოწება მიეცესთ სემინარიელები დაინიშნონ მასწავლებლად რუსული ენის საგნის გარდა, სხვა საგნებზე, ვინაიდან დანარჩენი საგნები ისეთი თავსატეხი არ არის, რომ მაინცა და მაინც მისი სწავლება სემინარიელმა ვერ შეიძლოს.

დამსწრე.

(შემდეგი იქნება)



### ვინ იუენენ (ნაპებია) ანუ (ბაპებია)?

„დაცა იერუსალიმისა, მათი ჯვარითა, მათთა პირითა გიკურთხოს ქრისტემან კვართი კვართლი, ოღარი, გინგილი, ფილვანი, ხელი შემოსილი ოცახალს მღვდელს გეგის: ვაჰნდელეს, ექს-მელექს ფარამოწაფეთა მისთა იამენ“..“

დასასრული \*)

### ნ ა თ ვ დ ა .

ძველად ნაკურთხ მღვდლებისაგან დატოვებულს მირონს პაპები ყოველ წლობით ზეთს უმატებდნენ და იმას ხმარობდნენ მირონად, რომელსაც თავ-დაცმულს რქებში ინახავდნენ.

მშობობიერ დედა-კაცის დაბინაება იკოდნენ ციგსა და ნესტიანს ქოხში. განთავისუფლებოდა თუ არა ქალი, მაშინვე პაპს მოუწოდებდნენ, აიაზ-მას გადახდევინებდნენ და წააკითხვინებდნენ ლოც-ვას. რომელსაც „შეგნაბ“ს ეძახოდნენ. მესამე ანუ მეოთხედ დღეს კიდევ მოუწოდებდნენ პაპს ბავშვის მისანათლავად. ამ დროს ქალი გან-ცლკევებით იყო: მას და ბავშვს არც პაპა ეყარებოდა და არც ნათლია. პაპა იღვა შორი-ახლოს და წითურის გა-ნურჩვევლად ყველაფერს კითხულობდა. სულის შე-ბერვის დროს პაპა ხელს მალლა იიშვერდა და ამ-ბობდა:

—შებერავს.. ფუჰ.. ვაჟი შენი შეილია, თუ ქალია—ქალი შენი შეილია!..

წყალში ბავშვს თითონ დედა ჩისვამდა ხოლმე, ხოლო პაპა შორი-ახლოდან ამბობდა:

—ნათელას იღებს მონა ესე ღვთისა (სახელი) სახელითა მამისათა ი ამენ, და ძისათა ი ამენ, და სულისა წმინდისათა ი ამენ! (სამგზის). შემდეგ ამი-სა ნათლია გრძელს ჩხირს დიკავებდა და სცხებდა მირონსა; ჩხირს კი ცეცხლში სწვავდნენ.

გვარგვინის კურთხევა.

გვირგვინის კურთხევა სახლში იკოდნენ. სურ-დათ თუ არა ერთმანეთი ქალ-ვაჟთ, ამის განსჯაში პაპები არ შედიოდნენ. ხშირად ქალს ძალით დაი-

კერდნენ და ჯვარსა სწვრდნენ,—ბევრჯელ ძმის საცოლურდაც. მეფე-დედოფალს დააჯენდნენ სკამ-ზედ და ნემსით კალთებს ერთმანეთზე გადაუბნე-დნენ. შემდეგ სრულდებოდა ჯვარის წერის წესი არე-დარეულად: ღვინის მაგიერ ხმარობდნენ არაყს, გვირგვინის მაგიერობასა სწევდა ვახის რგოლები, რომელზედაც ხის ჯვარი იყო დამაგრებული.

ზეთის კურთხევა.

ზეთის კურთხევისათვის დიდის აშბით ეშაღდე-ბოდნენ: 45-მდე ხარსა ჰკლავდა მოსახლე, რომელ-საც ზეთის კურთხევა სურდა. ამასთან აშაღებდა ბევრს არაყსა და პურსა. მერე მოიწვევდა 20—30 პაპს: ესენი მოუკიდებდნენ ზეთსა, ჩამოსხდებო-დნენ, წინ სუფრას დაიდგამდნენ და ზედ ზეთს დას-დგამდნენ. თითქმის ყველას კურხევიანი ეჭირა ხელ-ში და კითხულობდა. ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დღე სრულდებოდა ზეთის კურთხევა. გათა-ვებისას იმ მოსახლის წვეწვინი სათითაოლოდ ეტყო-დნენ აღსარებას; ხელში ეჭირათ ბაღახის კონა და ამბობდნენ: „მე ამდენი ცოდვა მიქნია“-ო; ბოლოს მოიწვევდნენ სოფელს და იმხიარულებდნენ.

მიცვალებულის დასაწმენის წესი.

მიცვალებულს პაპა ყოველ დღე უკითხავდა წიგნსა. კუბოში ჩასვენების დროს დაისწრებდნენ პაპსა, რომელიც მიცვალებულს შესუღრავდა ტი-ლოში, მერე თავიდან ფეხებამდე ჯვარის სახედ ძაფს დაადებდა, შემდეგ დაწმენილ ნიგოზს გადაყრიდა და ამბობდა:

—იამენ იესო მღრთისათა, იამენ მამისა ძისა-თა, იამენ და სულისა წმინდისათა იამენ!.. იერთ-ჯერ თქო, ორჯელ თქო, სამჯერ თქო; თავი და ფეხებამდი ზეთი გეცხებია მეორედ მოსვლამდი უფ-ლისა ჩვენისა იესო ქრისტესა... და დახურავდა კუბოს. მიცვალებულს პაპა წინ მიუძღოდა და ხელ-ში ჯვარი და კვასი ეჭირა. საფლავში ჩასვენების შემდეგ მიწას ჯვარსა სახავდა და ამბობდა: იამენ იესო ღვთისათა, იამენ და ძისათა და სულისა წმინდისათა იამენ; საფლავი ლაზარესი, ძვალი იო-ბისი, სული აბრამისა, ესე ხიდი ყოველთა ჩამოსა-ვალი არის..

ხასკეი (თანხე).

მამლის ხმობისას შეიკრიბებოდნენ პაპები ეკ-ლესიაში, ერთი შიგნით დადგებოდა და კარებს

\*) ის. „მწვემისა“ № 3 1902 წ.

გაუგდებდა, მეორე გარედან ეუბნებოდა: — აღებენით ბენი თქვენი მთავარო, და აღებენით ბენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე დიდებისა!..

შეინიდან პაპა: — ვინ არს ესე მეუფე დიდებისა?

გარედან: — მე ვარ უფალი ძალთა დიდებისა!..

მერე შევიდოდნენ ეკკლესიაში და დაიწყებდნენ ცისკარს, რომლის შემდეგ ეკკლესიის კარებიდან პაპები დაიწყებდა ხმა-მალა ძახილს:

— ქრისტე აღსდგა, გიხაროდეთ, ვისაც გესმოდეთ; არა გესმოდეთ პირსა და პირმეტყველსა, კაცსა და პირუტყვსა, ტყვსა და კლდესა, ქრისტე აღსდგა, გიხაროდეთ!..

რამდენადც სასაკილოა ზოგიერთი აქ მოყვანილი ამბავი, იმდენად სასიხარულო და საქებარია „პაპების“ დეაწლი, იმდენად საკვირველია მათი მოქმედება და ყოფა-ცხოვრება. პაპა ხალხს იცნობდა, ხალხი მას იცნობდა; პაპა ხალხსა ზრდიდა, ხალხი პაპასა ზრდიდა და მათში სიყვარული პირველი საქმე იყო... ოს! რა ზედნიერნი ვიქმნებით, რომ ეხლაც იმგვარი სიყვარული სუფევდეს მღვდელსა და მრევლს შორის! ამას ჩვენ არ ვაზიანდებთ და დასამტიკებლად ჩვენის აზრისა, ჰკითხეთ თითონ ხალხსა, რომელიც ეხლაც პატივისცემით იხსენიებს მათ. ჩვენც დიდის პატივისცემით ვცხენიებთ მათ, რომელთაც ქრისტეს სარწმუნოება არ დაადგეს ვაი-ვაგლახათ, რომელთაც ქართული წირვა-ლოცვა არ შესწევითეს ამ მივარდნილს კუთხეში და ჩვენვე გვიანდერძეს და რომელთაც დაიცვეს შესანიშნავნი ხატ-ნიგონნი „მუსულმანებისაგან“ და ჩვენ გადმოგვცეს!..

მლ. ი-ნე მარჯანი.

## მთავრობის განცხადება

პავლოვკის სექტანტების შესახებ.

„პრავეტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია:

1901 წლის ივლიში, ხარკოვის გუბერნიის, სუმის მაზრის, სოფელ პავლოვკაში, რომლის მცხოვრებთა ნაწილი 20 წელიწადზე მითია, რაც ჩამოშორდა მართლ-მადიდებლობას, მოვიდა ერთი დარიბად ჩაცმული კაცი, რომელიც თავის თავს „მოსე წინასარმეტყველად“ აღიარებდა. ეს კაცი,

რომელიც შემდეგში აღმოჩნდა კიევის გუბერნიის გლეხი, მოსე ნაუმის ძე ტოდოსინკო, ეკუთვნოდა გრეოდ წოდებულ „მოთვეანკების“ სექტას; ცოტა ხნის განმავლობაში მან პავლოვკაშიაც გაავრცელა ამ სექტის ცრუ მოძღვრება.

შემდეგ, წარსულ წლის სექტემბრის დამდეგს, ტოდოსინკო ხელმოერედ ჩავიდა პავლოვკაში და ისევ შეუდგა თავის მოძღვრების გავრცელებას; ამასთანავე ეუბნებოდა გლეხებს, რომ მალე სხვა დრო დადგება, გამოიცვლება გლეხთა ცხოვრების პირობანი, აღარ იქმნება არც ეკკლესიები, არც სამღვდლოება, ხოლო ადგილ-მამული თანასწორად გაიყოფა და დაურიგდება ყველასაო. ტოდოსინკომ აგრეთვე გამოაცხადა, რომ მას სული წმიდამ მოუწოდა ხელი შეუწყოს სიმართლის გამარჯვებას, რისთვისაც საჭირო არის მართლ-მადიდებელთა ეკკლესიების დამხობა.

ამ ქადაგებამ ადღეღა მანამდის წყნარი სოფელი. ტოდოსინკოს წასვლის შემდეგ, 14 და 15 სექტემბერს საფლის ქუჩებში დაიწყეს სექტანტებმა მოგროვება და ყვირილი: „ქრისტე აღსდგა“. დამით კი სექტანტები იკრიბოდნენ გლეხის ტიპოზე ნიკიტენკოს სახლში, სადაც მათ ხელმძღვანელოდა ღ ახალს მოძღვრებას უქადაგებდა ადგილობრივი გლეხი გრიგოლ პავლენკო. უკანასკნელი არწმუნებდა სექტანტებს, მოახლოვდა დღეების დღე და „ნუღარ გვინდა ოქრო და ვერცხლი“-ო; ამასთანავე პავლენკომ აცნო გლეხთ, რომ მან „მეილა ძალა მოსე წინასარმეტყველიდან“ (ტოდოსინკო) და რომ მას სული წმიდა მოეფინა. სექტანტების აღელვება უკიდურესობამდე მივიდა, როდესაც გრ. პავლენკომ გამოაცხადა, რომ მას შთაენერგა ღვთაებრივი ძალა, რომ უნდა დაიმხოს პავლოვკის არსებული ორი ტაძარი, რომ ის უნდა „დაჯდეს ტრაპეზზე, რომლის ქვეშ სიმართლე დამალეს მღვდლებმაო“. ამას პავლენკომ დასძინა: მოაწია უკანასკნელმა ეამმა და ვისაც უნდა, რომ სული წმიდა მოეფინოს, მე გამოვეყვსო. ამის გაგონებაზე მრავალმა სექტანტმა გადაწყვიდა ქუჩაში ფული და ხმა-მალა მოინანიო ცოდვები.

16 სექტემბერს, კვირას, დიდის მეექვსე საათზე, ასზე მეტი სექტანტი, ცოლებითა და შვილებით, გაემართა ადგილობრივ ეკკლესიისაკენ. ბრბოს წინ მიუძღოდა ურმით პავლენკოს ცოლი ელისაბედი,



რომელსაც ხელში ეჭირა ძუძუმწოვარი ბავში; ხანდის ხან ელისაბედი მალა ასწევდა ბავშს და ჰყვიროდა: „ირწმუნეთ ბავში ესე იესო, არა ხორციელად და-ბადებული“. ამაზე სექტანტები ყვირილით პასუხს აძლევდნენ: „გვრწამს, ქრისტე აღსდგა, სიმართლე მოაღის!“

რადგანაც ადგილობრივ პოლიციამდე წინაღვე მიიღწია ამბავმა, რომ პავლოვკას სექტანტები მართლ-მადიდებელთა ტაძრებს ემუქრებინაო, ამიტომ იმ კვირა დღეს წირვის შესრულება მახლობელს ეკლესიაში აკრძალეს და დარაჯები დააყენეს. სექტანტები თავს დაესხნენ დარაჯებს, სცემეს, მათ და გააგდეს; შემდეგ ყვირილით მივიარდნენ ტაძრის კარებს, დაამხვრიეს კლიტე-გასაღები და შეცვივდნენ ეკლესიაში, სადაც ჩაიდინეს შერაშფოთებელი საქციელი და მკრეხლობა. სექტანტებმა, რომლებსაც მეთაურობდნენ გრ. პავლენკო, აბრამ პავლენკო, პეტრე ხარახონოვი, პეტრე, ივანე და ანტონ კობილჩენკები, მაქსიმე და სტეფანე ბერესტკე-ბი, ივ. ლიუბჩი და სხვანი, დაამხვრიეს თანჯრები და მივიარდნენ წმ. ტრაპეზს; გრ. პავლენკო ავიდა და დაჯდა ტრაპეზზე, მის მავალით სხვებმაც მი-პაპეს. ამის შემდეგ ტრაპეზი გადააბრუნეს და დამტვრეს, აღსაღვლის კარები გააფუჭეს, ფარდა ჩამოხიეს, ზოგიერთი ხატი ამოაგდეს კანკელიდან და იატაკზე დაანარცხეს, ტრაპეზის ჯვრები და წმ. კი-დობანი, საეკლესიო ბიარაღები და სხვა ნივთები დამტვრის და წაახდინეს; დახიეს აგრეთვე სახარება და ოდიკი და იატაკზე დააგდეს.

ამის შემდეგ სექტანტებმა გალახეს მართლ-მადიდებელი ანტონ ფედორჩენკო, რომელიც ტაძარში შემოვიდა, და ყვირილით — „გავიმარჯვეთ, სიმართლე მოდის, ქრისტე აღსდგა“ — გვიმართნენ მეორე, მთავარ-ანგელოზ მიხეილის, ეკლესიისაკენ. მღვდელმა, როგორც კი გაიგო სექტანტები მოდი-ანო, შესწყვიტა წირვა და მოოცვლებთან ერთად გამოვიდა ეკლესიიდან; დაჰკეტეს კარები და ზარების რეკა დაიწყეს. თავის მხრით იქვე მყოფმა სუმის მახრის მე-2 განყოფილების ბოქაულმა შე-ჰკრინა პოლიციელები, რომელთაც შეუერთდა რამდენიმე გლეხი, და გზა შეუკრა სექტანტებს; ბოქა-ულმა ურჩია სექტანტებს, შესწყვიტონ უწყსოება და დიშალეთო, მაგრამ რწევამ არ იმოქმედა. სექ-ტანტები გავსივებით მივიარდნენ ბოქაულს და მის

მხლებელთ, გალახეს ისინი და ეცნენ ტაძრის კარე-ბს. ამ დროს მოვიარდნენ ს. პავლოვკას მართლ-მა-დიდებელი გლეხები და კეტებით ხელში დაერივნენ სექტანტებს. შეიქმნა საშინელი ჩხუბი; ბოლოს მართლ-მადიდებელმა სძლიეს და სექტანტები გაი-ქცნენ. მართლ-მადიდებელთაგან გალახული და და-შავებული მოთა იყო, სექტანტებიდან კი 42 კაცი დაშავდა, მათ შორის იაკობ კოვალენკო იმდენად მძიმედ, რომ მეორე დღეს კიდევ გარდაიცვალა.

უწყსოების მოსპობის შემდეგ სუმის საოლქო სასამართლოს გამოძიებელი საქმის გამოძიებას შე-ულდა. გამოძიებამ აღმოაჩინა ყველა დამნაშავენი და მათ შორის უმთავრესი ჩამგონებელიც — ზემო-ხსენებული მოსე ტოდოსიენკო. ამის შესახებ გა-მოძიებელმა შეტყობა ცნობები, რომლებიდან აღმო-ჩნდა, რომ ტოდოსიენკო 12 წლის წინად მიემხრო „მალევეანცებს“, თავი დაანება კოლშვილს და კი-ვეის გუბერნიაში სოფელ-სოფელ დადიოდა ჰქადა-გებდა, ხალხს ბატყებდა, ხოლო 1899 წელს ქუ-რდობისათვის დაპატიმრებულიც იყო თვე-ნახევრით.

გამოძიების დასრულების შემდეგ, ხარკოვის სამოსამართლო პალატის დადგენილებით, სამარ-თლაში იქმნა მიცემული 68 სექტანტი, მათ შორის მოსე ტოდოსიენკოც; უკანასკნელს ბრალად დაედო სექტანტების წაქეზება მკრეხლობაზე და აღმაშუო-თებელ სმების გავრცელება; დანარჩენების კი დაბ-რალდათ ტაძრებისა და წმ. საგნების დამტვრე-ვა-შეურაცხყოფა, მართლ-მადიდებლობზე თავდასხმა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

საქმე ვიარა ქალაქ სუმში, ხარკოვის სამოსა-მართლო პალატის განსაკუთრებულს განყოფილე-ბში; საქმის გარჩევამ, რომელიც საჯაროთ არ სწარმოებდა, რამდენიმე დღეს გასტანა: ამ წლის 28 იანვრიდან 5 თებერვლამდე; ორ ბრალდებულთა შესახებ საქმე შეწყდა მათ ავადმყოფობის გამო, დანარჩენების შესახებ კი პალატამ შემდეგი დაადგი-ნა: 17 უდანაშაულოდ იქმნას ცნობილი, ხოლო 49 — დამნაშავეთა; ამთგან 45-ს მისჯა კატორ-გაში. ვაგზუნა სხვა-და-სხვა ვადით (ტოდოსიენკოსა და გრ. პავლენკოს ხუთმეტ-ხუთმეტი წლით), მ-ს ციხეში დაპატიმრება რვა-რვა თვით და 1-ს. მცირე წლოვანი, დაპატიმრება მ თვით. ამასთანავე სამოსამარ-თლო პალატამ ვადაწყვიტა იშუადგომლოს ხე-



ლმწიფე-იმპერატორის წინაშე, რომ 30 გასამართლებულთ კატორგა შეეცვალოს ციმბირში სამულამოდ დაკარგვით.

ერთი ვინმე სასულიერო პირი ბრძანებდა ამას წინეთ ჩვენ გლვებზე: «ქაჟურმა გლვებმა ძლიერ ცოტა იციან ღვთაების სამ-პიროვნება და სხვა დოღმატებია-ო. სწორეთ აქ უფრო ბევრი ცოდნით ვინმე იქ—ხარკოვში!..»

### მიასკოვის უნივერსიტეტი.

გამოქვეყნებულ იქნა საერო განათლების მინისტრის ბრძანება: „ი თებერვალს, დილით, მოსკოვის უნივერსიტეტის ეზოში დიწყეს თავის მოყრა ამ უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომელთა შორისაც იყვნენ ქალები და მოსკოვის სხვა სასწავლებლების ყურის-მგდებელი. რადგანაც მოუხერხებელი იყო სტუდენტების ეზოში დარჩენა, უნივერსიტეტის რექტორმა ნება დართო მათ სააქტო დარბაზში გადასვლა და იქედან სახლებში დაბრუნება. ბრბო 400 კაცისაგან შემდგარი, დარბაზიდან უნივერსიტეტის სხვა სადგომში გადაიდა, ამასთან გამოამტერია გარეთა კარებები და შვიდი კარები სააქტო დარბაზისა და აუდიტორიებისა. ბრბოს ნაწილი მესამე სართულში ავიდა, სადაც შეამტერია შესავალი კარები პრივატ-დოცენტის ჩისტიაკოვის იურიდიულ სემინარიის გამგის სადგომისა და განდევნა რა სადგომიდან გამგე თვით დაბნავდა იქ, ამასთან განანდგურა რაც-კი რამ საქმელი ნახა, გამოამტერია შკაფი და გაუფუჭა ნივთები ჩისტიაკოვისა. ბრბო ხმაურობდა და მღეროდა. რამდენიმე ფანჯრიდან, რომლებიც ნიკოლოზის ქუჩისკენ გაღმოიყურება, წითელი დროშები გაღმოაკიდეს. თუშკა უნივერსიტეტის მთავრობამ რამდენჯერმე ურჩია სტუდენტებს უნივერსიტეტიდან წასვლა, მაგრამ ბრბო, თითო-ორილას გარდა, არ დაიშალა და განაცხადა რომ ღამე აქ დავრჩებითო. რადგანაც საკუთარის ძალით შეუძლებელი იყო წესიერების აღდგენა, სასწავლებლის მთავრობამ მიჰპართა დასახმარებლად სამოქალაქო მოხელეებს, რომელთა განკარგულებითაც, ესე 12 საათზედ, უნივერსიტეტის შენობაში

შეყვანილ იქნა პოლიცია და სამხედრო რაზმი. ყველა ისინი ვინც თავის ნებით უნივერსიტეტში შევიდა, დააპტიმრეს და მანეთში გაპტავნეს. წინააღმდეგობა მაგდენად არ გაუწევიათ. როდესაც უნივერსიტეტის სადგომები დაათვალიერეს, ზემო-სხენებულ ზიანის გარდა, დანტვრეული აღმოჩნდ სტუდენტების სახლობები, სტოლები, სკამები, კანტორები; იქ შენახული ქაღალდები გაანადგურეს. იატაკზედ იპოვეს: ჩვარ შემოხვეული საწონი გირები, ფინური დანები, გრძელი ჯოხები და უნივერსიტეტის მოაჯირიდან გამოამტვრეული რკინის ჯოხები. გაჩხრკის დროს ზოგიერთ დაპატიმრებულთ ჩამოართვეს ფინური დანები და რევოლვერბი. ბევრს ადგილას ბარკადებია გამართული. ზემოდ ნათქვამი მხოწმობს, რომ უწყსოებაში მონაწილეობის მიმღებ სტუდენტებს უნივერსიტეტის სადგომები მშვიდობიან სწავლისათვის კი არ მიანჩიათ დანიშნული, არამედ კანონის საწინააღმდეგო ყრილობებისათვის; სტუდენტები ისე კი არ იქცეოდნენ, როგორც შეჰფერით კარგად აღზრდილ ყმაწვილ კაცებს არამედ როგორც წრეს გადასულ ბრბოს, რომელიც ივიწყებს ყოველსავე წესსა და რიგს, ასეთ ყმაწვილ კაცებს ადგილი არა აქვთ უშაღლეს სასწავლებლებში, ამიტომ წინადადებს ვაძლევ მოსკოვის უნივერსიტეტის მზრუნველს იმ სასჯელის გარდა, რომელნიც უნდა გადახდეთ დამნაშავეთ საზოგადო კანონების ძალით დაუყონებლივ გამორიცხულ იქმნენ სტუდენტთა რიცხვიდან ყველა ისინი, რომელნიც დაპატიმრეს ღამე 10 თებერვალს უნივერსიტეტის შენობაში; დასოხვნილ უნდა იქმნენ აგრეთვე ყურის მგდებელი ჩემ უფროსობის ქვეშ მყოფ სასწავლებლებისა, რომელნიც დაპატიმრებულ იქმნენ სტუდენტებთან ერთად.

### სადიდ-მარხვოლ.

მინდა ვიტყვო, ვიტყვო ცოდვთა შესანდობელი, აღსარება მსურს, მოძღვარი სად არის მისანდობელი!

—  
თვითონ დაძვინდოს სახეზე, ამოიკითხოს დარდები!

სცნოს ცეცხლი მწველი, ნალველი  
გულისა თანა ნადები.

წყლულზე დამასხას მკურნალად  
უკვდავებისა წამალი,  
გზა ვიწრო ფართოდ მიიწვენს  
„აღთქმის ქვეყნისკენ“ მავალი...

სასოებაზე იმედი  
მომცემი არის ძალისა,  
და ეს იმედი იქნება  
სამოთხის—მომავლისა!!.

რ. საჯახელი.

**ქურნალ-გაჯიშთაიდან.**

გაზეთს „ნოვოე ვრემიაში“ საყურადღებო წერილია დაბეჭდილი „Кавказский чрезвычайный институт“. წერილის ავტორი ეხება ჩვენს საქართველო სავაჭრო საგნებს.

„ასის წლის მეგობრობამ და გულუხვმა სტუმართ-მოყვარობამ განუწყვეტელის კავშირით შეუერთა რუსებს ქართველები და სომხები. მაგრამ რუსებს და მათ შორის უთანხმოება მიიწვას არსებობს. ამიერ-კავკასიის ქრისტიანები თხოულობენ მეტს, ვიდრე აქვთ თვით რუსებს.

უსაუფფლო კავკასიაში სახელმწიფო სამსახურში ადგილობრივ მცხოვრებლებს არ მიღება, მაგრამ შეუძლებელია ყველა ადგილები მარტო თბილისის თუ ერევნის გუბერნიის ქართველებს ან სომხებს მივცეთ...

ადგილობრივი ვითარება კარგად შეუძლიანთ შესწავლონ არამც თუ ქართველებს და სომხებს, არამედ რუსეთის სხვა ქვეყნებშიც. მოვიგონოთ მაგ. გამოჩენილი უსლარი...

გვეტყვიან, ეროვნობა მარტო ამას ხომ არ მოითხოვსო. ენაო, თვით-მმართველობაო?..

არ შეიძლება ხალხის ენას ხელი ვახლოთ, სახალხო ენა კავკასიაში თავისუფალიც არის; იგი ისმის ყველგან, სახლებში, მოედნებზე, საზოგადო

კრებებზე, თეატრებში, ეკლესიებში, ჯამეებში; ადგილობრივ ენებზე იბეჭდება გაზეთები, წიგნები, ხოლო რაც შეეხება სასამართლოს, ადმინისტრაციას, ჯარს და მთავრობის სკოლას, აქ ორი აზრი შეუძლებელია. რუსული ენა ოფიციალურს ურთიერთობაში უნდა იყოს ერების შემართებელი და ურთიერთობის გამაადვილებელი. თუ რუსული ენა ოფიციალურს ადგილს დაიქვრს, ეს როდი მოასწავებს ადგილობრივის ენების მოსპობას. დაბალს და საშუალო სკოლებში ადგილობრივ ენას უნდა მიეცეს ადგილი და ამისათვის უნდა გადაიდოს ფულიცა.

რაც შეეხება თვით-მმართველობას, უეჭველია, რომ საქალაქო და საერობო თვით-მმართველობა უნდა მიენიჭოს კავკასიას. საოჯახო, შინაურს საქმეებში ვინ იქნება უკეთესი გამგე, თუ არა თვითონ დაინტერესებული მკვიდრი?!

\*

„პეტერბურგის ველამ.“-ში ვკითხულობთ. ი—ს მოგონებას გარდაცვალებულის ნ. ი. ილინისკის შესახებ. ეს ილინისკი შესანიშნავი და ჩვენს დროში იშვიათი ადამიანი ყოფილა.

ის იყო ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესორი. ყაზანის გუბერნიაში და, საზოგადოთ, აღმოსავლეთ რუსეთში ბევრი უცხო ხალხი ცხოვრობს: თათარი, კალმიკი და სხვა. ამიტომ მქ ძალიან გავრცელებულია მისიონერობა. პროფ. ილინისკიც გაუტაცნია სამისიონერო საკითხებს და ამ საქმის შესახებ ბევრიც უწერია, ბევრიც უქადაგნია. ის მხურვალედ მისცემია უცხოთა განათლების საქმეს, მაგრამ მდღეობა მტერი გამხდარა ყოველგვარ ძალ-მომრეობისა და ძალ-დატანებისა. მისიონერები არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად და ხშირად ძალას, მოტყუებას, მოქრთამებას მიმპარავდნენ ხოლმე. ილინისკიმ დაპყრო ეს სისტემა და აღიარა, რომ უცხოთათვის საჭიროა მხოლოდ განათლება! ამისათვის—კი ჩვენ ნება არ გვაქვსო არც მათ ენას, არც მათ სარწმუნოებას შევცხოთო. პირიქით, ენა თავისი უნდა შეერჩინოს ყოველმა ერმა, ასე გვეუბნება თვით სამღვთო წერილისა და ისტორიის მეჯითი შესწავლო; ხოლო ჩვენ სარწმუნოება, ქრისტიანობა, როგორც უფრო მაღალი, უფრო ჭეშმარიტი, ბოლოს თავისთავად გაიმარჯვებს მაშინდრობაზედაც და კერპთთაყენის-

მცემლობაზედაცო. ილინისკი პრაქტიკულათ ასრულე-  
ბდა თავის მოძღვრებას: გაიხადა პროფესორის  
სამოსელი, ჩაიცვა თათრის ტანისამოსი და დალიდა  
სოფლიდან სოფელში; თათრულად ჰმუნებოდა და  
პრაკობდა და სწერდა და ამიტომ აღვიდა უახლო-  
ვდებოდა მკვიდრთ, ურიგებდა მათ თათრულ წიგნებს,  
ასწავლიდა, უქადავებდა და სხვა; მრავალი თხზულება  
მან თვითონ დასწერა თათრულად. ცხოველის და  
ნამდვილის სიყვარულით უყვარდა ღარიბ-ღატაკი  
და შეეწროებული მკვიდრნი და აგრელებდა მათში  
სწავლას მათის ეროვნებისა, ენისა და ხასიათის შე-  
უგინებლად.

მოგონებათა ავტორის სიტყვით, არა რუსთა შო-  
რის სწავლა-განათლების გაგრელებისათვის ილინი-  
სკი საჭიროდ სთვლიდა შემდეგ საშუალებათ:

- 1) უნდა დაარსდეს სახალხო სკოლები, რომლებშიაც  
სწავლა უთუოდ ადგილობრივ ენაზე უნდა იყოს და მასწავ-  
ლებლებიც მკვიდრთაგან უნდა იყვნენ; 2) ადგილობრივი  
ენაზე უნდა გადაითარგმნოს საძღვრთო წიგნი და სხვა სა-  
ჭირო წიგნები; 3) ღვთის მახსურება უთუოდ ადგილობრივი  
ენაზე უნდა სწარმოებდეს; 4) სამღვდლოებაც ადგილობრივი  
მცხოვრებთაგან უნდა შესდგეს.

ამრიგად ვხედავთ, რომ ილინისკის მოძღვრებაც  
და სამისიონერო მოძღვრების სისტემაც ძალიან გა-  
ნსხვავდება იმ ქადაგებისაგან, რომელიც ხშირად  
გვესმის ხოლომე ზოგიერთ ახლანდელ მოღვაწეთაგან.

ეჰ, სიტყვით ერთს ამბობენ და საქმით სულ  
მეორეს ჩაღიანა..



## ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* „პრაიტი. ვესტნიკის“ მე-3 ნომერში და-  
ბეჭდილ ამბის განსამარტებლად, იმ ამბისა, რომე-  
ლიც შეეხებოდა სტუდენტ პომპასევიჩის სიკვდი-  
ლის შესახებ ხმებს, გამოაცხადა, რომ როგორც  
მიღებულ ცნობებიდან სჩანს, 6 თებერვლის და-  
მეს ქ. მასკოვში თავი მოიკლა მოსკოვის უნივერ-  
სიტეტის საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტის  
სტუდენტმა კონოპასევიჩმა.

\* \* პოლიციის მიმართ გამოცემულს ბრძანე-  
ში ნათქვამია: „1901 წლის 17 მარტის დადგენი-  
ლებისა და 23 იანვრის 1902 წლის დამატების თე-  
ბერვლის ცხრას დარღვევისათვის დაპატიმრებულ

იქმნენ: 7 სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა,  
10 სტუდენტი ტენზიკურ სასწავლებლისა, 2 სტუდენ-  
ტი საინჟინერო სასწავლებლისა 1 სტუდენტი სამე-  
ურნეო ინსტიტუტისა, 1 სტუდენტი პეტერბურგის  
უნივერსიტეტისა, 20 სტუდენტი გამაიჯვენელ  
ინსტიტუტისა, 3 მოწაფე სამხატვრო სკოლისა, 2  
მოწაფე ფილარმონიულ სასწავლებლისა, ერთი  
მოწაფე კონსერვატორიისა, 1 მსმენელი საბეზო-  
კურსებისა, 2 მსმენელი პედაგოგიურ კურსებისა, 1  
მსმენელი კვილის ექ. სკოლისა, ერთი მსმენელი სა-  
ბეზო ინსტიტუტისა, ორი აზნაური და ერთი  
აგრონომი; ორი თვით—97 სტუდენტი უნივერსიტე-  
ტისა; ერთი თვით—55 კაცი სხვა-და-სხვა წო-  
დებისა; თხუთმეტი ღლით—7 მოწაფე სტროგანო-  
ვის სასწავლებლისა, 7 ღლით—ორი კაცი სხვა-და-  
სხვა წოდებისა. იმავე დადგენილებათა დარღვევისათვის  
10 თებერვალს დაპატიმრებულ იქმნენ: სამი თვით  
—1 მოსამსახურე გუბერნიის საეროზო გამგეობისა,  
ერთი თვით—8 სტუდენტი უნივერსიტეტისა, 5  
სტუდენტი საინჟინერო სასწავლებლისა და 5 კაცი  
სხვა-და-სხვა წოდებისა.

\* \* 11 თებერვალს დიდ მთავარს მიხეილ ნიკო-  
ლოსის ძეს წარუდგა ქუთაისის გუბერნიის თავად-  
აზნაურთა დეპუტაცია. როდესაც თავად-აზნაურთა  
წინამძღოლმა ადრესი წაიკითხა, დიდმა მთავარმა  
უპასუხა: „გმადლობთ იმ პატივისცემისათვის, რო-  
მელსაც ამ ადრესში მიცხადდეთ, მე არასოდეს არ  
გამირჩევია და არც ენლა ვარჩევე ქუთაისის თავად-  
აზნაურთა ტფილისისაგან; მათი ინტერესებიც ერთ-  
ნაირად ძვირფასია ჩემთვის, ამისთვის ახალს ვერა-  
ფერს ვერ დავუმატებ იმას, რაც ვუთხარი ტფილი-  
სის თავად-აზნაურთა დეპუტაციას. გისურვებთ  
ერთნაირათ აყვავებას“ ამის შემდეგ დეპუტაცია  
წარუდგა დიდს მთავარს მარამ გიორგის ასუ-  
ლს და ქსენია ალექსანდრეს ასულს და დიდის  
მთავრის უავგუსტოესს შეიღებს. წარდგენის შემდეგ  
საუზმეზე მიიწვიეს. მისმა უმაღლესობამ აიღო ბა-  
კალი და წარმოთქვა: „ესეამ ქუთაისის გუბერნიის  
ქართველ თავად-აზნაურთა სადღერძძოლოს, ე.ი.  
იმერლებისა, გურულებისა და მეგრულებისა და ვი-  
სურვებ აღკვეებას ამ თავად-აზნაურობისა, რომელიც  
ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა მეფესა და  
სამშობლოს“.



\* \* საერო განათლების სამინისტრო აცხადებს ბირობებს, რითაც ნება ეძლევათ საშუალო სასწავლებლების, მასწავლებლებს, რომ კერძო გაკვეთილები აძლიონ ფასით იმ სასწავლებლების შეგირდებს, რომლებშიაც თითონ ასწავლიან, აგრეთვე ბირობები, რომ ქალებმა მუსიკა ასწავლონ სავაჟო საშუალო სასწავლებლების უმცროს კლასებში, თუ რომ კარგად მომზადებული მუსიკის მასწავლებელი კაცი არ ყავთ.

\* \* მათა შეუფების, იმერეთის ეპისკოპოსის ლონაღის განკარგულებით, დანიშნულია ქუთაისში 6 მარტს ბღაღინების კრება, სწინადასა ჭარხის საქმის წარმოების გაუმჯობესების შესახებ.

\* \* ამ ბოლო დროს ისე მიხუდა გზებები ამბები სცოდავ ბურბებზე, რომ უკვლას ეგონა სულ გაიჟღიბნო, მაგრამ ესლა ისევ ინგლისის გზებები აიღას იწერებთან: „კიტინური იტეობინება ზრეტორიადან: ღდაღის მწუსრებით უნდა შეგატეობინოთ ღდრდ მეტუქნის ამბავი: იგი მიდიოდა ვინბურვიდან ღისტენბურგში: მას თან ახლდა 900 ცხენოსანი მაიორ ზერსინის უფროსობით, 300 ქვეათა ჯარი 4-ის ზარბაზნით; მისი განხრახვა იყო შეერთებოდა 23 თებერვადს როფისინგფორტანთან გრენფოდს, რომელსაც 1300 ცხენოსანი ჰქვდა. 500 ცხენოსანი მივიდა მარბოფენააზნაში, ამით უკან მისდევდა ბურები ოთხის მიღის მისიადლე; ესენი იტეობინებან, რომ მეტუქნის ზარბაზნებია, მისი იფრგუნებია და სს. ბურებს ხელში ჩაუვარდა. მეტუქნი რომ უკანასკნელად ნახეს, იგი ბურების ხელში იყო“. უფრო დაწერადლებითი ცნობები დამრცხების შესახებ გიტქენს არ მისვლათ. გუშინ დაღათ ადრე, დელარეს ჯარები სმის მხრადან, ტეობიტსა და ზადმიტინაღემს შუა, თავს დაესხა მეტუქნის ჯარებს. მან უკვე მოახლიდა განკარგულება ამ მხრისაკენ ჯარების გაგზავნის შესახებ და თან იმ ზარის არის, რომ ბურების მოქმედების ამ განცხობელებს მიზნად აქვს მიტეობის იმ ჯარების უფრადლება, რომელნიც დემეტს ვიწრობებენ.

სწორედ საკვირეუბო საქმე მოსდით ინგლისის ჯარებს. სან ჯარები უფრთხობათ, სან ცხენები და ესლა სარები დაბრთხობათ და მიტომ ჩავარდნათ ხელში დელარეს ჯარს!..



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

ს ი ტ შ შ ა,

მ უ რ ა ნ ო ბ ა ზ ე .

ნუ ვართ ურთიერთარს მოზურნე (გალ. 5, 26).

კაცი არასოდეს არ დაკმაყოფილებდა იმ მღვთმარებობით, რომელშიდაც იმყოფება; რაც უნდა კარგი, უზრუნველი იყოს მისი ცხოვრება, უკეთეს ნაღმილობს. აღამიანის სურვილს, ლტოლივილებს საზღვარი არა აქვს. ახედაც უნდა იყოს! უამისოდ კაცობრიობის წინმსვლილობა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ რომ დავკმაყოფილდეთ, რაც გვაქვს მეტი არ მოვიწოდებოთ, მაშინ ხომ ერთსა და იმავე წიგრილზე უნდა გავჩერდეთ და ეს ხომ დიდი უბედურება იქნებოდა. ვიმეორებ, კარგია და დიდად სასარგებლო ეს თვისება აღამიანის სულისა, მაგრამ ყოველივე ღირსებას, ღვთისაგან მოცემულს, მაშინ აქვს მნიშვნელობა, მაშინ შეუძლია დანიშნულებისამებრ მოუტანოს კაცს სარგებლობა, თუ კარგ მიმართულებას მიიღებს, თუ სწორი გზით ივლის. ჩვენდა საუბედუროდ სხვადასხვა გარემოებათა მეოხებით, სხვადასხვა მიზეზთა გამო ხშირად გადაუხვევთ ხოლმე და ნაცვლად კანონიერი დაკმაყოფილებისა ცდილობთ უკანონო მოქმედებით მივსცეთ საზრდო ჩვენ ლტოლივილებს, სურვილს. საქმე იმაში მღვთმარებობს, რომ ყველას არ მოსდევს ძალა და ღონე აისრულოს თვისი სურვილი, დააკმაყოფილოს თავისი თვით. კაცი კი ყოველთვის ეპოტინება იმას,

რაც მის ძალას აღემატება. გინდა, მაგ. გკონდეს დიდი სიმდიდრე, მაგრამ ამისი უნარი არა გაქვს; გინდა იყო განთქმული, დიდებული კაცი, მაგრამ არც სიმდიდრე, არც სწავლა და არც სხვა რაიმე ღირსება არა გაქვს; გინდა საღმრთო მალაილი ადგილი გეკიროს, რომელიმე დაწესებულების უფროსად იყო, მაგრამ არც სწავლა და არც ბუნებითი ნიჭი შენი არ შეესაბამებოდა ამ ადგილს. და, როდესაც ხედავს კაცი თავის უღონობას, ბრაზდება, უკმაყოფილება ებადება გულში და შეიპყრობს მას შური იმ მოძმისადმი, რომლისათვის ადგილად მოსახერხებელია და შესაძლოა, რაც მისთვის შეუძლებელი და ძნელად მისაღწევი ვახდა. ერთი პირის გამარჯვება რომელიმე საქმეში, მრავალში შურსა ბადავს. „ვიხილევ მე რამეთუ ყოვლისა შრომისა და ყოვლისა სიმშინისა ნაქნართასა, რამეთუ ესე შური კაცისა მოყვისისაგან თვისისა“ (ეკკლ. 4, 4) ამბობს სოლომონ ბრძენი. მღვდელ შური მძულვარებას ბადავს და სიძულადი ხომ ყოველივე ბოროტებას გამოიწვევს. „ხოლო უკეთუ შური მწარე გაქნდეს გულთა შინა თქვენთა, ნუ იქადით, — ამბობს იაკობ მოციქული, — და სტყუით ქვემარტულებასა ზედა. არა არს ეს სიბრძნე ზეგარდა-მოსრული, არამედ ქვეყანასა, მშვიდვიერი და საეშმაკო. რამეთუ სად არს შური, მუნ შფოთი და ყოველივე ბოროტის საქმე“ (3, 14—16). სიშურს როცა მძულვარება დაერთობა და ასედაც არის ხოლოც ყოველთვის, — არავის ზოგავს, ყოველთვის იმის ფიქრშია, თუ როგორ გაანადგუროს და უღროგოდ გამოასაღოს ამ წუთის სოფელს ის, ვისიც რაიმე შურს. ამისათვის ამბობს იოანე ღვთისმეტყველი: „ყოველს, რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი კაცისა მკვლელი არს“ (1 იოან. 3, 15). ისტორია ბევრს მაგალითებს გვაძლევს ამის დასაბუთებლად. კაინს რომ არ შეშურებოდა ძმის — აბელის ღვთისაგან მსხვერპლის მიღება, რათ მოკლავდა მას, მაგრამ შურიმა ჩაადგინა მას ეს ბოროტება. ძმები იოსებს რას ეროდნენ, რა დაუშავა მათ ამ უმანკო კაცმა, მაგრამ შურმა დააბრმავა ისინი და რომ არ გაეყიდნათ, უსათუოდ მოკლავდნენ; დავითი როგორი პატივისცემელი იყო საულ მეფისა, მაგრამ მეფე ხედავდა რა მას თავის თავზე უკეთესს, შურითა აღვისო გული მისი და მოსაკლავად დასდევდა. დავითს რომ შე-

შურდა ურის ცალი, რათა შეერთო ის, მოკლევინა ქმარი. აქამ მეფეს შეშურდა ნაუფოს ბალი და ვერ მოისვენა მანამდისინ, სანამ ეს კაცი წუთისოფელს არ გამოასაღმა და მისი ბალი ხელში არ ჩაიგდო; იესო ქრისტეს წინააღმდეგ რამ ამხედრა მღვდელ-მთავარი, მწიგნობარი, ფარისევლი, თუ არ შურმა? „რამეთუ უწყოდა პილატემ, ვითარმედ შურითა მისცეს იგი“ (ე. ი. ქრისტე) (მათ. 27, 18) მოციქულებს რას ეროდნენ, რომ სდევნიდნენ, ვის რას უშავებდნენ?! მაგრამ შურმა არ მოასვენა ურიები. როდესაც მოციქულებმა ქადაგებით და სასწაულო-მოქმედებით გაითქვეს სახელი „მღვდელთ-მოდღვარი და ყოველნი მისთანანი აღიესნენ შურითა“ (საქმე მოც. 5, 17). პავლე მოციქულს და ბარნაბს, როდესაც დიდ ძალი მსმენელები გარს ეხვეოდნენ, „იხილეს რა ურითა აღიესნენ შურითა“, სწერია საღმრთო წერილში. და, საზოგადოდ, რამოდენ უბედურებას ატრიალებს ჩვენს ცხოვრებაში შური. ამისათვის გვარიგებს სოლომონ ბრძენი: „ნუ ისერებ კაცისთანა მოშურნისა, ნუცა გული გითქვამს საქმელსა მისსა“ (იგ. 23, 6).

ახლა ვიკითხოთ, მოშურნე რას იძენს, რა ემატება მას, როდესაც სდევნის და სიკოცხლეს უსაბაბს სხვას? სხვისი ქუა გონება, სახელი მას ხომ არ დარჩება? თვისი მსხვერპლის ადგილს ის ხომ ვერ დაიჭერს? ვერა, მოშურნე თავის მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწევს. „იშურებდით და ვერ ძაღვის მიმთხვევად“, ამბობს იაკობ მოციქული (4, 2). არამედ თუ იძენს რასმეს, არამედ იმასაც ჰკარავს, რაც აქვს. ჩვენს დღე ისედაც მოკლეა და შური ხომ კიდევ უარესად უსწრაფებს კაცს სიკოცხლეს. „გული მოშურნე მდილია ძვალთა“, ამბობს სოლომონ ბრძენი (იგ. 14, 30). ასე რომ მოშურნეს უნდა მეტი შეიძინოს, მაგრამ მეტი კი არა, იმასაც კარავს და უღროგოდ ესაღმება რაც აქვს. ტყუილია კი არ ამბობენ: „ბევრის მდომს, ცოტაც ეკარავება“-ო. საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ მოშურნე კაცი უფრო თავის თავის მტერია, ვინემ სხვისაო. „მოშურნისა თავისა თვისისა თვით არ არს უბოროტესი, ესე მისაგებელი სიბოროტისა მისისა“.

ჩვენის ფიქრით, კი არ უნდა შეგვიდგეს, ძმაო ჩემო საყვარლო, ის, ვისიც რამე შეგენატრება,



არამედ თვისი შრომით და მეცადინეობით უნდა შეიძინო, თუ ეს შენთვის შესაძლოა, თუ ძალია მიწვევება, და უკეთეს სხვისოდენი არ შეგიძლია, ღმერთს შენთვის იმოდენი ძალ-ღონე არ მოუცია, რად უნდა მოგდიოდეს გული, რად უნდა ბრახედობად შენ მოყვასზე, შენს მჯობნზე. ის რაშია დანაშაული, რაში სტყუის? შესაძლებელი და დასასჯელი მაშინ იქნებოდა, რომ ღვთისაგან მოცემული მადლი მიწაში უნაყოფოდ ჩაეფულა, როგორცა სთქვა იესო ქრისტემ, „ღმერთმა მისცა რომელსამეს ხუთი ქანქარი, რომელსამე ორი და რომელსამე ერთი, კაცად კაცდა, მსგავსად ძალისა თვისისა“ მათ. 25, 14—39). რასაკვირველია ვისაც ერთი აქვს, ვერასოდეს ვერ გაუთანასწორდება აქ ხუთის მქონებელს, და მოშურნის საქციელი ღვთის ნებას ეწინააღმდეგება, მას უსწორებს, თავის თავს მასზე ზევით აყენებს. ასეთ წინააღმდეგობას არ გასწევდა კაცი, მას შური არ დაებადებოდა გულში მოყვასიადმი, რომ დაჯერებული იყოს და ყოველთვის ახსოვდეს, რომ აქაჲურ მეტნაკლებობას ჰგენი სულის ცხოვნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ბევრის მქონებელი და ცოტასა, დიდებუდი და უბრალო, ყველანი ერთიანობადასაუხის მგებლნი არიან ღვთის წინაშე. ესეც იქონიე, ძმობა ჩემო საყვარელო სახეში, რომ შენ თუ სხვას შენატრი, ვინ იცის რამოდენი შენ შემოგნატრიან; შენ გგონია უბედურნი ვარო, მაგრამ იმასაც, ვისაც შენ შენატრი, ასეთივე აზრი უტრიალებს თავში, ისიც ისე მცირედ აფასებს თავის მდგომარეობას როგორც შენ, ისიც სხვის მდგომარეობას, ცხოვრებას ზევით აყენებს თავისაზე; იმასაც ისე გონია, სიდაც შენ არა ვარ, იქ სამოთხეაო. ვინ იცის, ვისაც შენ შენატრი, ის შენ არ შემოგნატრის, შენ იმას სთვლი ბედნიერად, ის-კი შენ, მაგრამ არც ერთი არა ხარო ბედნიერი, თუ ქვეყნიურ ღიდებას აძლევთ დიდ მნიშვნელობას, თუ ფიქრობთ, ეძებთ და იღვწით მისთვის, რომ აქ—ქვეყანაზე უზრუნველ ჰყოთ თავისი თავი, ყოვლის მხრივ დააკმაყოფილოთ თქვენი გული, რომელიც კრულია და გაუმადარი, და ვერ შეიგნებთ, რომ ღმერთმა სხვა დანიშნულებად მისცა კაცს. „ღმერთო!—განცვიფრებით ამბობს ავგუსტინი, შენ შეგიქმნია კაცი შენი თავისათვის და ამისათვის მხოლოდ შენში ჰპოებს იგი მოსვენებას“. ამინ.

წინამძღვარი ქვაშ. წმ. გიორგის ეპისკოპოსის მარტო ტექსტად.

**მართლმადიდებლობით—ქრისტიანებრივის საეკლესიო საზოგადოებების ღვთის მსახურების განმარტება.**

(გაგრძელება \*)

შესკოდეს ჩვენმა წინაპრებმა, გავრცელდა კაცთა შორის ბოროტება, შესწყდა კავშირი ღმერთსა და აღმანას შუა და ამით კაცობრიობისათვის დაიწყო მრავალ-მწუხარებითი და ტანჯვა-წვალებითი ცხოვრება!—და აი ჩვენ ვითხოვთ ღვთისაგან იმას, რაც ჩვენ დავკარგეთ, რაშიც ვსაქირობთ; ვითხოვთ მშვიდობასა ღმერთსა და მოყვასთათანა და აქედან თვისთა თანა. 103 ფსალმუნის შემდეგ მთავარ დიაკონი იტყვის დიდს კვერქესსა. კვერქესი არის კრება სხვა-და-სხვათა თხოვათა უფლისა მიმართ. ეს კვერქესი იწოდება დიდ კვერქესად იმიტომ, რომ ის შეიცავს თვის შორის უფრო ბევრთა თხოვათა, ვიდრე დანარჩენნი სამინი კვერქესნი. იგი იწოდება კიდევ დიდ მშვიდობიანად; მშვიდობიანად იმისთვის, რომ იწყება სიტყვით: მშვიდობით და მასში უმთავრესად ვითხოვთ მშვიდობას; ხოლო დიდი მშვიდობიანი ჰქვიან განსარჩევად მცირე მშვიდობიანისაგან; ანუ მცირე კვერქესისაგან, რომელიც იპყრობს მცირე რიცხვს თხოვათა. დიდი მშვიდობიანი იწყება სიტყვით: მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ. ამით ხალხს ეძლევა წინადადება, რათა მან ილოცოს დამშვიდებულის გულითა.

ლოცვის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ აღამიანი თვისის გონების და გულის ღვთისადმი მიმართოთ შეუერთდეს მას და სიტკბოებითა და სიხარულით აღივსოს. ამ წმიდა მიზნის მიღწევისთვის საჭიროა, რომ ლოცვის დროს აღამიანს არავითარი ქვეყნიური ფიქრი არ ამძიმებდეს, ყოველივე ზრუნვა მსწრაფლ წარმავლ, სოფლიურ სეკეთესა და სიამეზელ მისგან განშორებული იყვეს. კაცის მთელი ყურადღება, ყოველნი მისნი ძალნი მიქცეულნი უნდა იყვენ ღვთისადმი, მის მოქმედებისადმი და საერთოდ მაღალ ღვთებრივ საგნე-

\*) იხ. „მწვემისა“ № 23—24 1901 წ.

ბისადმი. როცა ლოცვის დროს ადამიანის ყურადღებას დროებითი ცხოვრების რომელიმე მოვლენა იზიდავს, როცა იგი დაუდგრომელ სოფლიურ კეთილ-ღღობაზე ფიქრობს, მაშინ მისი სული ვერ ფრთოვანდება და ვერ აღწევს უფლისადმი, მაშინ მისი სულიერნი ძალნი არ არიან იმ რიგად მოსვენებულნი, თავისუფალნი, რომ აღვიღალ შეიძლონ აღმაფრენა ღვთისადმი. სამეცნიერო კითხვების გამოძიება-გამოკვლევისთვის აუცილებლად მოითხოვება კაცისაგან დატოვება ქვეყნიურთ ზრუნვათა და ყურადღების დამყარება მხოლოდ ამ სამეცნიერო საგნებზე, და მით უფრო ესეთი მოქმედება. ე. ი. ლტოლვა სოფლიურთ ზრუნვათაგან საჭიროა ისეთ დიდ საქმეში, როგორც არის ლოცვა, სულიერი დაკავშირება ღმერთთან. კიდევ, ლოცვაში წარმატებისთვის საჭიროა, რომ ადამიანს არ აღეღვებდეს, არ აშფოთებდეს ბოროტი მიდრეკილება, ცოდვითი გრძობა; განსაკუთრებით, სიძულელი და ჯავრი მოყვისადმი. თუ კაცი ბიწიერის გრძობებითაა შეპყრობილი, თუ მას თვისი მოძმე სძულს, თუ იგი იმის ფიქრშია, რომ როგორ ავნოს მას, მაშინ იმის ლოცვას სასურველი შედეგი არ ექნება. ჯერ ერთი რომ იმისი სული, როგორც გარემოცული ცოდვითი განწყობილებებითა ვერ შეიძლებს თავისუფლად აღმაფრენასა ღვთისადმი, რადგანაც იგი იმავე დროს მიდრეკილი იქნება ბოროტებისადმი; მეორედ ისა, რომ ღმერთი ცოდვებით დატვირთულ კაცს არ მიუახლოვდება, რადგანაც იგი არის უსაზღვრო სიყვარული და დასიხარულები მხოლოდ იქა, სადაც სიყვარული სუფევს; უპირველესი სათნოება, რომელიც კაცისგან მოითხოვება არის სიყვარული. ვისაც ღრმა და ცხოველი სიყვარული მოძმეთადმი ძვალსა და რბილში არ აქვს გამჯდარი, ვინც მოწადინა სხვისი გაუბედურებისა, ის ღვთის სიყვარულს ვერასოდეს ვერ მოიპოვებს. ადამიანმა ჯერ თვისი გული მოძმისადმი სიძულვილისაგან უნდა გაიწმინდოს და მერე უნდა შეუდგეს ლოცვასა. ქრისტეანისგან მოითხოვება არა მარტო ისა, რომ იგი ყველას ძმურად ექცეოდეს, ყველასთან მშვიდობიანად იყოს, რომ მან კული არავის უყოს, არვის აწყენინოს, არამედ ისიც, რომ, თუ ვინმე მასთან მწყრალად არის, შემდურებულია, თუცა

მას ამისთვის მიზეზი არ მიუცია, მაინც მივიღეს იმასთან და შერიგება სთხოვოს.

ამაირად, სალოცავად გამზადებული კაცი უნდა იყოს დამშვიდებული, ე. ი. განშორებული ყოველივე ფიქრისაგან ქვეყნიურ კეთილღობაზე; განსაკუთრებით კი თავისუფალი უნდა იყოს ბოროტ განწყობილებისგან მოყვისადმი.

1. პირველი თხოვა დიდ კვერქისა იკითხება ასე: ზეგარდათ მშვიდობისა და ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთაჲსა უფლისა მიმართ ვილოცათ.

ღმერთი არის საზღვარ დაუდებელი სახიერება—სიყვარული, სრული დაუშრეტელი ნეტარება, ერთად ერთი ქეშმარიტი, უცვლელი წყარო ბედნიერებისა; და მან შექმნა რა კაცი, რასაკვირველია, გააჩინა იგი ბედნიერებისათვის. ღმერთმა ადამიანს მიანიჭა თვისი ხატება, გონება, გული და მნებელობა, ღრმად ჩაუწერა მას სულში და მერე მრავალჯონ სიტყვიერად გამოუცხადა—აუხსნა კანონი ანუ წესი, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი, რა უნდა ქმნას, რას უნდა ერიდოს, რომ თვისს შემოქმედს მიემსგავსოს, დაუახლოვდეს და მიიღოს მისგან ბედნიერება. კაცმა უნდა მიაპყროს თვისი ყურადღება, თვისი გონება ბუნების მრავალგვარ მოვლენათა, გამოიკვილოს ისინი, სცნოს ქმნილებათა სიდიადე, მიხვდეს შემოქმედის სიბრძნესა, სახიერებას და ყოვლის შემძლებელობას, მისს განგებულებასა და იწყოს კრძალულებითი ლტოლვა მისდამი. ადამიანმა უნდა განიბტკიცოს თვის გულში მხურვალე სიყვარული მოყვისადმი, საზოგადოებისადმი; მან თვისი თავი, თვისი ცხოვრება უნდა შეუერთოს მოძმეთა ცხოვრებას, თვისი პირადი სარგებლობა უნდა დასომოს, უარ-ჰყოს სხვის კეთილღობისთვის. და ესრედ ადამიანი, გამოძიებელი ღვთის ძლიერებისა და ღიებულებების, ცხადმყოფი თვის ცხოვრებაში ცხოველ-მყოფელის ძალისა—სიყვარულისა, მოქმედი მოძმეთა სასარგებლოდ, უნდა აღინთოს სიყვარულით. ღვთისადმი, შეუჩერებლივ ისწრაფვოს მისადმი და შეუერთდეს მას. როდესაც კაცი აღასრულებს უფლის მიერ ნაჩვენებ დანიშნულებას, მიიღებს ღვთის მსგავსებას ე. ი. გამოიჩენს, შეიძენს ღვთაებრივ თვისებათა, უმაღლესთ სათნოებათა, ზნეობრივად განსხვავებას და იწყებს აღმაფრენას უზენაესი-

სადმი, მაშინ მას იგი მოწყალებით მოხედავს, განაბრწყინებს და ადავებს მას სიხარულითა და სიტკობით; და ესეთი ღვთივ განათლებული ადამიანი იწყებს ნამდვილ ბედნიერ ცხოვრებას, და ვერავითარი მწუხარება და უბედურება ამა სოფლისა მას ვერ შეეხება, ვერ გაუმწარებს ყოფსა. აი ამნარი უნდა იყვეს ადამიანის ცხოვრება! მაგრამ საუბედუროდ ღღეს ამას ვერ ვხედავთ.

აკაზიბე.

(შემდეგი იქნება)

სასარგებლო ჩიჰანი

(ტკუის სასწავლებლად).

I.

საბერძენეთის ერთმა შვილთა ბრძენთაგანმა სახელგანთქმულმა ფილოსოფოსმა სალონმა, ათინის კერპთა ბომონის კარებზე შემდეგი სიტყვები დააწერა მსხვილის ასოებით: «იციან თავი თვისი». კითხვაზე თუ რად დასწერა სალონმა ბომონის კარებზე ეს სიტყვები, და ან რას მოასწავებს შინაარსი წარწერისა, ფილოსოფოსმა უპასუხა: «რადგან ბომონში ღღე ნიადგ მრავალი ხალხი იკრიბება, ამიტომ ღღე თითოეულმა ამა კარით შემავალმა წაიკითხოს ეს ყველასათვის საგულისხმო სიტყვები, ხოლო ახრი და მნიშვნელობა წარწერისა კი, თვით მკითხველმა გამოიცნოს».

—კარგი, მაგრამ, როგორ განვსაჯოთ ეს სიტყვები, რით გამოვიცნოთ ასეთი უცნაური გამოცანა?

—სულ ადვილად და აი როგორ: მიმართეთ თქვენს გულის ხმებებს შემდეგის კითხვებითა: ვინ ხარ შენ? სადაური ხარ და სად მიხვალ? კითხვაზე ვინ ხარ შენ? უპასუხე, რომ შენ ხარ კაცი, მიწა, ხრწნადი, უძღური და ქვემდებარე ყოვლისა სნეულებისა, ტანჯვისა და წამებისა. სადაური ხარ? მიწიერი, ვით შობილი ღედისაგან და შთასახული საშუასა ღედისასა ხორციელის გულის თქმათა. სად

მიხვალ? საფლავად, სადაც გელოდება: სიბნელე, სიმყარე, ხრწნილება და სხეულის დაღობა. აი ამნარად იცნოს კაცად კაცდამან თავი თვისიო“. დაასრულა ფილოსოფოსმა.

II.

დღღეში ვინმე წარჩინებული კაცი სახელად ზენონი შეეკითხა აპოლონის უსიტყო კერპსა: „ღიდებული აპოლონი! მიჩიე თუ როგორ გავაუმჯობესო ჩემი ცხოვრებაო?“ ადვილი წარმოსადგენია თუ რა რჩევა-დარიგებას მისცემდა უსიტყვო კერპი პირ-მეტყველ ადამიანს, მაგრამ ღვთის ბრძენებით ქვანიც კი ღაღადებენ. ქვისაგან გამოქანდაკებულმა უსიტყო კერპმა აი რა უპასუხა ზენონსა: «დღეკითხე მკვდართა და ისინი გასწავლიან საშუადრებასაო». იტყვის კაცი: განა შესაძლოა მკვდარმა, უმოძრაო, უხმო-უსულო, ენა ზაგე დაღუმებულმა არსებამ ცოცხალ ადამიანს რაიმე ასწავლოსო? ჭეშმარიტად რომ შეუძლია, მაგრამ არა სიტყვით, არამედ საქმით და საგანზე მითითებით. ამა ყური უგდოთ მკვდართა რას გვეუბნებიან ჩვენ ისინი: «ჰოი ხალხნო, რასა ქედ-მადლობთ? ოდესმე ჩვენც ვიყავით ის, რაც ღღეს თქვენ და რაც ჩვენ ღღეს ვართ, მღღე თქვენც ასე შეიქნებთ. ამ უამალ თქვენ ცოცხლებთ, სვამთ, ჭამთ, იმსიებით ნაირ-ნაირის ტანსაცმელთა, ნუგეშობთ და სტკებებით ქვეყნიურის სიამოვნებითა, მაგრამ ამოღ; ღღეს თუ ხვალ, ყველა ეგეები გექცევათ მტვრად, კუბოდ და სუდარად ისე, როგორც ჩვენ. «რავი სარგებელ გვეყო ჩვენ ამპარტავანება და სიმდიდრე ღიდებითა რავი მოგვეგო ჩვენ. წარვედ ყოველნი იგინი ვითარცა აჩრდილი და ვითარცა ამბავი მსრბოლი. ვითარცა ნავი განმავლი წყალსა მღღელვარესა, რომლისა განსვლისა არა არს კვალი პოვნილად. ანუ ვითარცა ფრინველი მფრინავი ჰავრსა ზედა, არცა ერთი იპოვების სასწაული გზისა. ანუ ვითარცა ისინთა ტყორცნებულობითა, ფრთე ჩვენცა შობილნი მოვაკლით. (სიბრძნე სოლომ. 5, 8—13) რადგან ასე თვალსაჩინოდ გვესაუბრებიან მიცვალბეულნი, ამიტომ მოდი გამოვიცნოთ მათ ყველაფერზე. ჰოი კაცო, გასურს ჩილინო ხორციელი სიბინძურე? შეეკითხე მკვდართა და სახელდობ სოლომელთა, რომელნიც იტანჯვიან ცეცხლითა უშრეტითა და გეტყვიან: თუ

გსურს შენც ჩვენებრ იტანჯო საუკუნოდ, იქმოდ ჩვენებრთა საქმეთა. გინდა იცხოვრო მდიდრულად და განატარო შენი სიცოცხლის ღდენი მარად უძლეურობასა და ნაკლულეფანებაში? ჰკითხე მკედარსა და სახელდობ სახარების მდიდარსა, რომელმაც აახილა თვალნი ჯოჯოხეთსა შინა, იხილა საწყალი ლაზარე და შესთხოვა: „ლაზარე! მომწოდე ერთი წვეთი წყალი, რამეთუ ვიტანჯები აღითა ცეცხლისათა». გსურს სტანჯო, სდევნო და აწამო მართალი? ჰკითხე ფარაონს, რომელიც უღანაშულოდ სდევნიდა ღვთის ხალხსა, დანთქა იგი ზღვასა მეწამულსა და აწ კი თვით ინთქმების გენიასა. გსურს წინა აღუდგე უმფროსთა? დაეკითხე დაფანს და აბირონს, რომელნიც წინა აღუდგენ მოსეს და არონს და რომლისა გამო მიწამ შთანთქა იგინი. გსურს ურწმუნოთათვის ურწმუნობებ? მაგალითი აიღე ლოთის ცოლისაგან, რომელმაც მოხედა უკანით სოლომსა და იქცა იგი მარილის სვეტად. გსურს ვასტეხო და გაძარცო წმ. ეკლესია? ჰკითხე ასურეთის მეფის სელეუკოს საზონის მცველს ელიოდორს, რომელმაც იერუსალიმში ეკლესიის გატეხა განიძრახა და იქმნა იგი დასჯილ ხელთაგან ანგელოზთა. გსურს მიენდო ყოვლის შენის არსებობით სიმდიდრესა? წარმოიდგინე ისევ სახარების მდიდარი, რომელმაც რქვა სულსა თვისსა: „სულო გაქვს მრავალი კეთილი და უნჯებული მრავალთა წელთა განიხარე, ჰამე და სუ და იხარებდ. და რქვა მას ღმერთმან: „უგუნურო, ამას დამესა მიგიღონ სული შენი შენგან, ეგე რომელი მოიშაღე ვისა იყოს?» (ლუკა XII, 19—20).

### III.

მივმართოთ ეგვიპტეს. აქ მეფე პტოლომეოს მართავს მეგლიშსა. სუფრაზე მოაქვს ნაირ-ნაირი სანოვგე ძვირფასის თევშებიოთა. სხვათა შორის

მოაქვსთ დიდის ხონით გატყაული თავის ქალა კაცისა დაღმენ მეფის წინ. ერთი მესუფრეთაგანი ეუბნება მეფესა: მეფევ, ხედვ ამ გატყაულ თავის ქალასა? მალე შენი თავიც ასე გახდება; მეფე დააშტერდება ძვალსა, ამოიოხრებს და გაერთვის ფიქრებში. როცა გამოირკვევა ფიქრისაგან კვლავ იწყებს ქეიფობას, ერთი მსახურთაგანი ეტყვის კიდევ მეფესა: „მეფევ, კარგად დააქქერდი ამ ძვალსა. მალე შენი თავიც ამ ყოფაში ჩაივარდებაო. მეფე კვლავ დააშტერდება ძვალსა, კვლავ ამოიოხრებს და მიეცემა ფიქრებსა. ამნაირად პტოლომეოსმა გაატარა თავისი ღზინი ერთად სიკვდილის წარმოდგენით.

აი ბატონებო, სიბრძნის მოყვარეობა, აი მშვენიერი ფილოსოფია, სიკვდილის წარმოდგენა, ურომლისოდ ვინ იცის მეფე პტოლომეოს რაზომ მომაკვდინებელ ცოდვას ჩაიდენდა თვისი წრეგარდასრულის ქეიფითა.

მლ. მიხელ გავაშლაშვილი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიძებატურო განმყოფილება:** აღრესი, წაკითხული ქუთაისის გუბერნიის თვად-აზ. წინამძღოლისაგან მისის უდიდებულესობის წინაშე პარაკვეს, თებერვლის 8-ს, სახამთრო სასახლეში.—იმერეთის ეპარქიის სამღვ. დეპუტ. კრება ქუთაისში 1—5 დეკემბერს 1901 წ.—ვინ იყვნენ „პაპები“ ანუ „პაპები“? მლ. ი. მარგანიანი.—მოაფრობის განცხადება.—მოსკოვის უნივერსიტეტი.—საღიღ-მარხვოდ (ლექსი), რ. საჯაოხელისი.—ტურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა მყენიებაჲ ძრისტიანობის სარწმუნოებასა და ქმთილ-წმომიებაჲ:** სიტყვა შერიანობაზე, თქმული მლ. მარკოზ ტყემალაძის მიერ.—მართლმადიდებლობით—ქრისტიანებრივის საეკლესიო საზოგადოებრივის ღვთის მსახურების განმარტება, კეპხიძისა.—სასარგებლო რჩევანი, მლ. მ. გავაშლაშვილისა.

რედაქტორ-გამომცემელი დევ. ღ. ღამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 2 марта 1902 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елисеѳ

Типог. редакцiji журн. „Пастырѣ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.